ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 21

ქ. თბილისი

07.08.2017

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;

გიორგი გახელაძე - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი;

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს ნანა:

ნანა გელაშვილი - დირექტორი;

2. შპს სკოლა-ლიცეუმი სანთელი:

ვასო ჯანიაშვილი - დირექტორი;

დალი ჯანიაშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილის დარგში;

მარინა ნადარაია - IT მენეჯერი;

3. შპს კერძო სკოლა ინტელექტი:

თამარ გოგსაძე - დირექტორი;

იურისტი - თათია ზარქუა;

4. შპს ელიტური სკოლა „გორდა“:

ნინო მურვანიძე - დირექტორი;

შალვა ბერიძე - დირექტორის მოადგილე;

თამარ მურვანიძე - აკადემიური დირექტორი;

5. შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლა:

გრიგოლ ბულია - დამფუძნებელი;

მაკა მახარობლიძე - დირექტორი;

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

იანინა გიგიბერია;

თამარ ჩხიკვაძე;

ქეთი ბოტკოველი;

მაკა ტუკვაძე;

ნინო ბალანჩივაძე;

მანანა თურქაძე;

ლიანა კობესაშვილი;

სერგო დურგლიშვილი;

მანანა ალიბეგაშვილი;

მარინა სეხნიაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ მურღულია.

სხდომა გაიხსნა 14:10 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ წამოჭრა სხდომის მდივნის შერჩევის საკითხი. საბჭოს წევრებმა დაასახელეს და სხდომის მდივნად ერთხმად შეარჩიეს გიორგი გიგიბერიას კანდიდატურა.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ნანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს კერძო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ელიტური სკოლა „გორდას“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5. შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს ნანას ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, იანინა გიგიბერიამ და თამარ ჩხიკვაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

1.1. საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ექსპერტმა იანინა გიგიბერიამ აღინიშნა, რომ შპს ნანამ წარმოადგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. ასევე, 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ 2016 წლის 25 აგვისტოს. 2016-2017 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა და 2017 – 2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული, რომელიც აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. სკოლაში 2016-2017 სასწავლო წელს სკოლაში შექმნილი იყო ერთი კლასკომპლექტი - V-VI კლასებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა დიფერენცირებული სწავლების პრინციპებზე დაფუძნებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პედაგოგთა პორტფოლიოებში წარმოდეგნილი იყო შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, ზოგადი შეფასების რუბრიკებით. არ იყო მითითებული სტანდარტის მიხედვით მისაღწევი შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურებოდა შემაჯამებელი დავალება. ძირითადად, წარმოდგენილი ნიმუშები იყო ტესტები არჩევითი პასუხებით და ნაწილობრივ შეესაბამებოდა ესგ-ს მოთხოვნებს. ექსპერტ იანინა გიგიბერიას თქმით, ვიზიტის დროს გაეწიათ შესაბამისი რეკომენდაცია პედაგოგებს და ზოგმა

ვიზიტის დროს დაიწყო ხარვეზის გამოსწორება. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ უკვე თვეებია ფიქსირდება ხარვეზები სკოლების მხრიდან შემაჯამებელთან დაკავშირებით და დააყენა შუამდგომლობა ცენტრთან, სკოლებისთვის მიეცათ რეკომენდაციები, რომ სკოლებს ესგ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობა გაეთვალისწინებინათ შემაჯამებელთან მიმართებით. საბჭოს თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ ექსპერტებს ჰკითხა, ხომ არ ფიქსირდებოდა რაიმე პრინციპული ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტებმა უპასუხეს, რომ შპს ნანაში საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით პრინციპული ხარვეზები არ ფიქსირდებოდა.

1.2. ექსპერტ იანინა გიგიბერიას თქმით, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა ხარვეზი. კერძოდ, სკოლა სპორტის გაკვეთილის ჩასატარებლად იყენებდა ღია სპორტულ მოედანს, რომელიც სკოლას აღებული ჰქონდა სარგებლობის უფლებით საკრებულოსაგან, თუმცა ვადები მითითებული არ იყო. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულება სპორტული მოედნით სარგებლობის შესახებ, რომელშიც ასევე არ ეწერა ვადები. საბჭომ ჩათვალა, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულება დამაკმაყოფილებელი იყო. ექსპერტმა, იანინა გიგიბერიამ განაცხადა, რომ სკოლას იჯარის ხელშეკრულებით აღებული ჰქონდა შენობა, რომლის მესაკუთრეც იყო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო. იჯარის ხელშეკრულება დადებული იყო 2012 წლის 19 ივლისს 10 წლით, 2022 წლის 19 ივლისამდე. სკოლას ავტორიზაციის გავლის პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ესაჭიროებოდა იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება. სკოლის დირექტორმა წარმოადგინა განახლებული იჯარის ხელშეკრულება, სადაც იჯარის ვადად მითითებული იყო 2023 წლის 31 დეკემბერი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საევაკუაციო გეგმა იყო ძველი და არ შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტს, რაზეც სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ საევაკუაციო გეგმა განაახლა შესაბამისს სამსახურებთან კონსულტაციის საფუძველზე, რომელიც წარმოადგინა საბჭოს სხდომაზე. საბჭომ განიხილა და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საევაკუაციო გეგმა აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტს. ექსპერტის თქმით, სკოლის შენობაში განთავსებული იყო 7 ოთახი. აქედან ერთ ოთახი იყო დირექტორის, ერთ ოთახში განთავსებული იყო ბიბლიოთეკა, 5 ოთახში კი მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესის სრულყოფილად ჩატარების მიზნით, სკოლის ხელმძღვანელობას მიეცა რეკომენდაცია დირექტორის ოთახის სკოლის ეზოში, დამხმარე შენობაში გადატანის შესახებ, რაც გაითვალისწინეს და შეასრულეს.

1.3. ექსპერტ თამარ ჩხიკვაძის თქმით, 2016-2017 სასწავლო წელს სკოლაში დასაქმებული იყო 12 თანამშრომელი. მათ შორის: 8 პედაგოგი იყო, 1 დირექტორი, რომელიც ითავსებდა, როგორც ხარისხის მართვის მენეჯერის, ასევე საქმისმწარმოებლის ფუნქციებს, 1 ბიბლიოთეკარი, რომელიც ითავსებდა ფინანსური და ტექნიკური მენეჯერის ფუნქციებს, 1 დამლაგებელი, 1 მეეზოვე და 1 დარაჯი. მათგან, 4 მასწავლებელი დარეგისტრირებული იყო მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში პრაქტიკოს პედაგოგად. 4 პედაგოგს სტატუსი არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, რომ, თუ პედაგოგების ნახევარი იყო სტატუსის გარეშე, ეს კანონით იყო ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი. ექსპერტმა თამარ ჩხიკვაძემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს, სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა იმ პედაგოგებთან გაფორმებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც არ იყვნენ მართვის ელექტრონული სისტემის ბაზაში და არ ჰქონდათ სტატუსი. პედაგოგები მუშაობდნენ სკოლაში 2014 წლის 15 სექტემბრიდან. შესაბამისად, ახალი სქემის ამოქმედებისას სამუშაო პროცესის წყვეტა არ აღინიშნებოდა. აქედან გამომდინარე მათ ჰქონდათ უფლება ჰქონოდათ გარკვეული სტატუსი. სკოლის ადმინისტრაციის განცხადებით, მიზეზი იყო ტექნიკური ხარვეზი და ისინი აქტიურად იზრუნებდნენ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და ექსპერტთა ვიზიტის პროცესშივე დაიწყეს ამ ხარვეზის გამოსწორება. მათი განცხადებით მართვის ელექტრონული სისტემის ბაზის მოუწესრიგებლობის გამო, სკოლის ადმინისტრაცია შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებას ვერ ტვირთავდა მართვის ელექტრონული სისტემის ბაზაში. იმ პედაგოგთა შეფასებაც ვერ ხერხდებოდა, რომლებიც ჩანდა ბაზაში. ამავე მიზეზით, სკოლა ვერ იღებდა სათანადო დახმარებას კონსულტაციებისა და ტრენინგების სახით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მხრიდან. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სტატუსის არმქონე 4 მასწავლებლიდან 2-მა დატოვა სკოლა. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ ექსპერტების მხრიდან მოითხოვა გარანტიები, იყო, თუ არა შესაძლებელი აღნიშნული პრობლემების მოგვარება უახლოეს მომავალში. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ გარკვეულწილად ტექნიკური ხარვეზის ბრალი იყო აღნიშნული პრობლემები და მათ მიერ მოხდა სკოლის ადმინისტრაციის დაკავშირება შესაბამის სამსახურებთან და ხარვეზები უნდა გამოსწორებულიყო.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას

შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 50 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ნანას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ნანას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ნანას (ს/კ: 226527283) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

2. შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ტუკვაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

2.1. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლა-ლიცეუმი სანთელი 2016-2017 სასწავლო წელს ახორციელებდა დაწყებითი და საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურების პროგრამებს. გასული სასწავლო წლის შედეგების ანალიზის, მასწავლებლებთან კონსულტაციების, მშობლებისა და მოსწავლეების სურვილების და საჭიროებების გათვალისწინებით სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება საშუალო საფეხურის დამატებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სკოლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა დასახა მიზნის მისაღწევი ამოცანები, ცვლილება შეიტანა სკოლა-ლიცეუმის მისიაში, შეიმუშავა სკოლის ახალი დებულება, სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი (2017-2023) და (ერთწლიანი) 2017-2018 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმები.

ცვლილებების გათვალისწინებით სკოლამ წარმოადგინა ახალი 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა, რომელიც დირექტორის მონაწილეობით განხილული და დამტკიცებულია 2017 წლის 29 ივნისის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე.

სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის.

სკოლაში ირიცხებოდა 2 სსსმ მოსწავლე. მოსწავლეთა იდენტიფიცირება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ. მათ მიერ გაწეული რეკომენდაციის შესაბამისად შემუშავებული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. გუნდის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიდნენ სსსმ მოსწავლეებს: ფსიქოლოგი, ექიმი, კლასის დამრიგებელი, მშობელი (მეურვე). სკოლის ფსიქოლოგს შემუშავებული ჰქონდა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროგრამა და გეგმა. 2017-2018 სასწავლო წლისთვის დაგეგმილი იყო ამ მოსწავლეებისთვის ახალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა. სკოლამ წარმოადგინა გუნდის მიერ ჩატარებული სხდომის ოქმები და მათი მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია.

ექსპერტის თქმით, სკოლაში გაძლიერებული იყო ინგლისური ენისა და მათემატიკის სწავლება. ხარვეზები საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით არ ფიქსირდებოდა. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.2. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ შპს სკოლა-ლიცეუმი ,,სანთელი" მდებარეობდა ქ.თბილისში, ისანი-სამგორის რაიონი, გ.მუხაძის ქ.15. დაწესებულება ფუნქციონირებდა 461კვ.მ მიწის ფართობზე განთავსებულ ორსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართი იყო 483,89კვ.მ. შენობის მეპატრონესა და სკოლის დირექტორს შორის გაფორმებული იყო უვადო საიჯარო ხელშეკრულება.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა მოიცავდა: შენობის პირველ სართულზე განთავსებულ 4 საკლასო ოთახს; სპორტულ დარბაზს; ფოიეს, სადაც იდგა ჩოგბურთის მაგიდა; სამ სველ წერტილს, მათ შორის ერთი სსსმ პირისთვის. რადგანაც სველი წერტილები განთავსებული იყო მხოლოდ პირველ სართულზე, ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით მოხდა 2 სველი წერტილის განთავსება მე-2 სართულზეც. მე-2 სართულზე იყო 8 საკლასო ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სამედიცინო ოთახი და ერთ სივრცეში განთავსებული კომპიუტერული კლასი და ბიბლიოთეკა. სკოლის ეზოში იყო ფრენბურთის მოედანი. სკოლის პერიმეტრი შემოღობილი იყო დიდი ბეტონის ფილებით.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. რაც დასტურდებოდა როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე შესაბამის პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ

მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, შპს სკოლა-ლიცემ სანთელთან მიმართებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.3. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განახორციელებლად ჰყავდა 25 თანამშრომელი. სკოლა-ლიცეუმში სულ 18 პედაგოგი იყო, აქედან 3 უფროსი მასწავლებელი იყო. 6 პედაგოგი დარეგისტრირებული იყო მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებზე. მასწავლებელთა კარიერული განვითარების და წინსვლის სქემაში ჩართული იყო 14 პედაგოგი და მათ მინიჭებული ჰქონდათ შესაბამისი სტატუსი. სკოლის 4 პედაგოგი არ იყო ჩართული მასწავლებელთა კარიერული განვითარებისა და წინსვლის სქემაში. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ იკითხა, რატომ არ იყვნენ პედაგოგები ჩართული მასწავლებელთა კარიერული განვითარებისა და წინსვლის სქემაში, რაზეც სკოლის დირექტორმა უპასუხა, რომ პედაგოგების მასწავლებელთა კარიერული განვითარების და წინსვლის სქემაში ჩართვის თაობაზე მიმდინარეობდა მიმოწერა მასწავლებლის სახლთან. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ ცენტრთან დააყენა შუამდგომლობა, გადაემოწმებინათ ამ 2 პედაგოგის ბაზაში დარეგისტრირების საკითხი.

სხდომის თვმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 140 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა-ლიცეუმ სანთელს (ს/კ: 406091857) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

3. შპს კერძო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ბალანჩივაძემ და მანანა თურქაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

3.1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ განაცხადა, რომ სკოლას ამ კუთხით არანაირი ხარვეზი არ გააჩნდა. შენობა ახალგარემონტებული იყო. სამივე სართულზე განსაზღვრული იყო 26 საკლასო ოთახი, რომელთაგან მხოლოდ 13 ოთახი იყო აღჭურვილი 228 ცალი ინდივიდუალური მერხითა და შესაბამისი სკამით. სკოლაში იყო საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, 17 სველი წერტილი, რომელთაგან ერთი იყო ადაპტირებული, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, რომელიც ნოლ სართულზე მდებარეობდა, არ იყო გამწოვი დამონტაჟებული, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აუცილებლად დაამონტაჟებდნენ. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ არ ჰქონდათ კითხვები შპს კერძო სკოლა ინტელექტის, მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით.

3.2 ადამიანურ რესურსთნ დაკავშირებით, ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ სკოლა ამ შემთხვევაშიც სრულად აკმაყოფილებდა სტანდარტს. ,,კერძო სკოლა ინტელექტს'' ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლას დაგეგმილი ჰქონდა, 2017-2018 სასწავლო წელი დაეწყო 228 მოსწავლით. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო გარემოს შექმნას სკოლაში უზრუნველყოფდა 21 პედაგოგი, ყველა პედაგოგს განსაზღვრული ჰქონდა სტატუსი. მათ შორის 2 დოქტორი იყო 10- მაგისტრი, ან მასთან გათანაბრებული, 8- ბაკალავრი,1- პროფესიული განათლებით. რაც შეეხება სქემით განსაზღვრულ სტატუსს, 13 პედაგოგი ჩაერთვებოდა სქემაში უფროს პედაგოგად, 8 -პრაქტიკოსად. მათგან 12 პედაგოგი, პედსაბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შეასრულებდა დამრიგებლის მოვალეობას. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ იკითხა, რას საგანს ასწავლიდა პროფესიული განათლების მქონე პედაგოგი, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროფესიული განათლების მქონე პედაგოგი იყო სპორტის მასწავლებელი.

საბჭოს წევრი გიორგი გახელაძე, დაინტერესდა, ჰყავდა, თუ არა სკოლას ფსიქოლოგი სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჰყავდათ.

საბჭოს წევრი, არჩილ სუმბაძე დაინტერესდა შპს სკოლა ინტელექტის საგანმანათლებლო პროგრამით, რაზეც ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ უპასუხა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის უმეტესი ნაწილი გადმოკოპირებული იყო ესგ-დან, რაზეც მიეცა სკოლას რეკომენდაცია ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის, ესგ-დან გადმოწერა არ იყო სწორი და მიზანშეწონილი საქციელი. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარვეზი აუცილებლად იქნებოდა აღმოფხვრილი.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 230 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს კერძო სკოლა ინტელექტის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კერძო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კერძო სკოლა ინტელექტს (ს/კ: 405011810) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

4. შპს ელიტური სკოლა „გორდას“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და სერგო დურგლიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტ ლიანა კობესაშვილის განცხადებით, შპს ელიტურმა სკოლა გორდამ, შეიცვალა ფართი, სახელი და ასევე მოითხოვა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა, რის შესახებაც თავის დროზე აცნობა შესაბამის ორგანოებს, მათ შორის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე დაწესებულებაში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

შპს ელიტური სკოლა გორდა განთავსებულია ქ. ბათუმში, მელიქიშვილის ქ. N110 - ში 502 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთზე. ექსპერტის თქმით, შპს ელიტურ სკოლაში „ბორდა“ იყო 25 საკლასო ოთახი, კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, კანცელარია, ექიმის ოთახი, დირექტორის და მისი მოადგილის კაბინეტები, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, სასადილო ოთხი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურილი იყო ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდით და დაფით. საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 410 ინდივიდუალური მერხი და სკამი. ამის გარდა სკოლას დასაწყობებული ჰქონდა 141 კომპლექტი ინდივიდუალური მერხი და სკამი. ჯამში სკოლა ფლობდა ერთადგილიანი მერხისა და სკამის 551 კომპლექტს. ვიზიტის პერიოდში სკოლის მეხუთე

სართულზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რომელთა დასრულება იგეგმებოდა 2017 წლის 31 აგვისტოს. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდგ სკოლას დაემატებოდა მინიმუმ 6 საკლასო ოთახი, რაც მის შესაძლებლობებს კიდევ უფრო გაზრდიდა. სკოლის შენობა უზრუნველყოფილი იყო ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით. ყველა საკლასო ოთახს ჰქონდა ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. სკოლაში დამონტაჟებული იყო ცენტრალური გათბობის სისტემა.შენობის ყველა სართულზე კეთილმოწყობილი იყო სველი წერტილები, ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის. მათ შორის იყო ადაპტირებული სველი წერტილი.

სკოლამ წარმოადგინა წყლის, ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის მოხმარების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები და სათანადო ხელშეკრულებები.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

4.2. ექსპერტ ლიანა კობესაშვილის განცხადებით, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, დაწესებულებას არ ჰქონდა ხარვეზი. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 47 მასწავლებელთან. მათ შორის პრქტიკოსი იყო 28, უფროსი 18 და წამყვანი 1. სკოლას ასევე ემსახურებოდა იურისტი, კანცელარიის უფროსი, კომპიუტერული ცენტრის ხელმძღვანელი, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექმენეჯერი, კანცელარიის უფროსი, დირექტორი, დირექტორის თანაშემწე, ტექნიკური და ფინანსური მენეჯერები, აკადემიური დირექტორი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, 2 დამლაგებელი, მეგარდერობე და დამხმარე მუშა. სულ 63 თანამშრომელი. სკოლის აკადემიური პერსონალის რაოდენობა საკმარისი იყო მოსწავლეთა გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევაში სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვისათვის.

სკოლას მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები. წარმოდგენილი ხელშეკრულებები კანონმდებლობის სრული დაცვით იყო შედგენილი.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შემდეგ სკოლა იყო ჩართული ამ პროცესში და განახორციელა შესაბამისი ნაბიჯები. სკოლის მასწავლებლები ჩართული იყვნენ სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში.

სკოლას ცალკე დოკუმენტად გაწერილი ჰქონდა მასწავლებლის საქმიანობის შეფასების რეიტინგულ-დაგროვებითი სისტემა, ხოლო სკოლის შინაგანაწესის მე-15 თავში განსაზღვრული იყო ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანზმები.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 550 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზციის სტანდარტებთან შპს ელიტური სკოლა გორდას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ელიტური სკოლა გორდასთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს ელიტურ სკოლა გორდას (ს/კ:245439020) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550-ით.

5. შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მანანა ალიბეგაშვილმა და მარინე სეხნიაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

5.1. ექსპერტ მარინე სეხნიაშვილის განცხადებით, მატერიალურ რესურსთნ მიმართებით შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლას ხარვეზი არ გააჩნდა. დაწესებულებას 2016 წლის 17 მაისს ქვეიჯარის ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შპს „ საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრთან",რომლის საფუძველზეც 2035 წლამდე გადმოცემული ჰქონდა 5511,08; 2393,92 და 525 კვ.მ საერთო ჯამში 8430კვ.მ ფართი. სკოლა განთავსებული იყო სამ სართულიან შენობაში, რომელსაც ერთმხარეს გააჩნდა ნულოვანი სართული ბუნებრივი განათებით. სამ სართულზე განლაგებული იყო 34 დიდი და 3 მცირე ზომის საკლასო ოთახი, 3 ლაბორატორია, ცალ-ცალკე ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის, ერთი კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო და სააქტო დარბაზები. სულ სკოლაში ამ ეტაპზე დასაწყობებული იყო 197 მერხი და სკამი. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა 2017წ 3 ივლისს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება, შპს „საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრსა" და შპს „წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლას შორის, 404 მერხის დ სკამის ჩუქებასთან დაკავშირებით. ამრიგად, სკოლას ადგილზე ჰქონდა 397 მერხი და სკამი და 2017 წ 8 აგვისტომდე ელოდებოდა 404 მერხს, რაც ჯამში გამოდიოდა 801 მერხი და სკამი. სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმებით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: 35 პერსონალური კომპიუტერი და 13 ლეპტოპი, 25 კომპიუტერი განთავსებული იყო კომპიუტერულ კლასში, 10 კომპიუტერი

განთავსებული იყო ბიბლიოთეკასა და ადმინისტრაციის ოთახებში, 13 ლეპტოპი მასწავლებელთა სარგებლობისთვის სამასწავლებლოში. კომპიუტერები უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ნულოვან სართულზე მდებარეობდა თანამედროვე სტანდარტის დახურული აუზი, მოწყობილი საშხაპეებით და გასახდელებით, ცალ-ცალკე გოგონებისა და ბიჭებისათვის.

5.2. ექსპერტ მარინე სეხნიაშვილის განცხადებით, შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლას ადამიანურ რესურსთან მიმართებითაც არ ჰქონია ხარვეზი. დაწესებულებაში იყო 82 თანამშრომელი. აქედან 62 პედაგოგი, 8 ადმინისტრაციის წარმომადგენელი, 2 აკადემიური დირექტორი, დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი/ადმინისტატორი, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პიარმენეჯერი, ექიმი, ფსიქოლოგი და 13 ტექნიკური პერსონალი, დაცვის თანამშრომელი, მებაღე/მეეზოვე, მზარეულები, დამლაგებლები. სკოლის პედაგოგები შერჩეული იყვნენ სასკოლო სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაცია, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შეესაბამებოდა საქართველოს კანონის ,,ზოგადი განათლების შესახებ" და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლა ჩართული იყო მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლას ჰყავდა 25 პრაქტიკოსი და 20 უფროსი მასწავლებელი.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 800 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა ავტორიზაციის სტანდარტებთან შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლისთვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს წმიდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლას (ს/კ:404510739) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 15:45 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

გრიგოლ მურღულია

მდივანი

გიორგი გიგიბერია